



გ. იაშვილის ნახატი.

ხვალ,  
25 თებერვალს,  
ზაიმიტ  
კლინიკება  
საბჭოთა  
საქართველოს  
53-ე წლისთავი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს სსრ მინისტრთა საბაოსთან არსებული ფიზკულტურისა და  
სპორტის კომიტეტისა და კროსპაპორტთა სასპორტო საბაოს ორგანო  
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете  
Министров ГССР и республиканского Совета профсоюз

1974 წ.  
№ 39 24 თებერვალი  
330 რა.  
5069 24 შანი 3 კაპ.

გაზეთი გაგორის  
1984 წლის  
18 აპრილიდან

# შრომის დიდი დაფასება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გადაეცა ხალხთა მეგობრობის ორდენი


ბათუმში, 22 თებერვალი. დიდი ზეიმი იყო დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში. მზიური რესპუბლიკის დროშაზე ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების გვერდით ხალხთა მეგობრობის ორდენი აიკაფდა. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ ავტონომიური რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, პარტიის ვეტერანები. საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საწევრო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ავტონომიური რესპუბლიკის აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დ. დიასამიძემ. სიტყვა მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს. მან სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელითა და დავალებით, პირადად ლ. ი. ბრეჯნევის სახელით მზურვალედ მიულოცა აჭარელ მშრომელებს მაღალი ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

ანსტრთა საბჭოს სახელითა და დავალებით, პირადად ლ. ი. ბრეჯნევის სახელით მზურვალედ მიულოცა აჭარელ მშრომელებს მაღალი ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. აშ. ე. ა. შევარდნაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აჭარის ასს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრიბილთა მქუხარე ტაშის გრიალით მიიხანა ორდენი რესპუბლიკის დროშას. საბასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დ. თხილიაშვილმა. მან ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა სკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას საბჭოთა აჭარის მშრომელთა გარჯის დაფასებისთვის.

## სეპარატი სოხალისური ქვეყნისა

კვლავ ვახუშტი, კვლავ განცდავი

ბულგარულ ფეხბურთელებს „ზამთრის არდადეგები“ დაუშთავრდათ. მოწყობილ დასვენებით, საგაზაფხულო წრის პირველი მატჩები. ქვეყნის პირველობის ლიდერმა — დედაქალაქის კლუბმა „ლეგაცი-სპარტაკმა“ უკვე 7 ქულით გაუსწრო მდევრებს, როცა თხუთსეტი მატჩიდან თოთხმეტი მოიგო. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ფინიშიზე ბრძოლა ალბათ შეუპოვარი იქნება.



◆ ვალში, 23 თებერვალი. დღეს მსოფლიო ჩემპიონატის საბატიო კვატრცხლებზე ყველა ადგილი სოციალისტური ქვეყნების მოთხოვნამდე ქალებმა დაიკავეს. 4x5 კილომეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლენინგრადელი ნ. ბაღდინევა, იოსკაროლელი ნ. სელიუზინა, სიკტივკარული რ. სმეტანინა და ივესკელი გ. კულაკოვა, ჩემპიონობა მოიპოვა — 1:02.57.39. ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ვერის სპორტსმენებს — 1:03.09.13, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკელებს — 1:03.52.57.

◆ ბრიუსელი, 23 თებერვალი. „მარტინის“ პრინის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა მსოფლიოს საუკეთესო დაშინით მოფარიაკვედ აღიარეს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მინსკელი ვ. სილიაკი, რომელმაც ბრიუსელის ტურნირამდე გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა. იმის გამო რომ ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირი წლებულს არ გაიმართება, საბატიო ნადავლი — „ოქროსი დაშინა“ სილიაკისთვის საბჭოთა კავშირის ფარკაობის ფედერაციას გადაეცა.


◆ მისკოვოლსკი, 23 თებერვალი. მოჭარაკე ქალთა ოთხთა მატჩ-ტურნირის V ტურში ლევიტინამ მოგუტ კონტაოლიოვას, ხოლო შულ-პლეკსანდრიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

## კურენსოვი არ ხუბროს

შესანიშნავი საბჭოთა ძალოსნის ლ. ჟაბოტინსკის მსოფლიო რეკორდსა და შემდომე წონის ათლეტთა შორის გამარჯვებაზე ჩვენ უკვე ვწერდით. ახლა გავაცნობთ არმიელთა საკავშირო პირველობაში სხვა წონის კატეგორიებში გამარჯვებულებსაც.

უმრატეს წონაში ყველას აჯობა კუბინიშვილმა ვეტერანმა გ. პეტროვმა (225 კგ). ამახთან, მან შეიარაღებულ ძალების რეკორდი დაამყარა ატაში (100 კგ), რაც 1 კგ-ით ჩამორჩება საკავშირო რეკორდს.

საინტერესო შემთხვევა მოხდა მრატე წონის ძალოსანთა ასპარეზობაში. სამმა — ლვოველმა ვ. ლაგუნეიუკმა, ხაბაროვსკელმა ა. ალიოხინმა და მინსკელმა ვ. სემიონოვმა ერთნაირი კილოგრამები (230) დააგროვეს. უფრო მრატე ლვოველი აღმოჩნდა და ჩემპიონიც ის გახდა.



ქვემსუბუქე წონაში საშუალო შედეგით (247,5 კგ) გაიმარჯვა ვ. ლიმ (ტაშკენტი). მსუბუქე წონაში გამარჯვებულმა, მოსკოველმა მ. კირიჩინოვმა თითო ცდის შემდეგ მოიპოვა პირველი ადგილი — 300 კგ. შემდეგ მან იერიში მიიტანა მსოფლიო რეკორდზე აჭარაში მაკერდზე აიტანა კიდევ 118 კგ, მაგრამ გაჭიმულ ხელებზე ფიქსირება ვეღარ შეძლო. მაყურებლები კვლავ გაახარა 32 წლის ვეტერანმა ვ. კურენცოვმა (მოსკოვის ოლქი). მან 142,5 კგ აიტაცა და 177,5 კგ აჭკრა. ორტიდში

მან შეიარაღებული ძალების საკავშირო რეკორდი დაამყარა — 320 კგ. ვეტერანმა, რომელიც არც კი ფიქრობს ფიცარნაგის დატოვებას, კინადაც საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაში — 144 კგ, მაგრამ ბოლო მომენტში დაუეარდა შტაგა.

საშუალო წონაში ტოლი არ ჰყავდა ალმათელ ს. მელნიკს — 325 კგ. ამ წონაში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, მინსკელმა ა. გოლუბოვიჩმა ამაოდ მიიტანა იერიში საწყის წონაზე ატაში (140 კგ) და, ბუნებრივია, შეკიბრებას გამოეთიშა.

ქვემდომე წონაში გაიმარჯვა ვ. შარიომ (მინსკი) — 365 კგ, რომელმაც შეიარაღებული ძალების საკავშირო რეკორდი დაამყარა ატაში — 162,5 კგ.

მძიმე წონაში უძლიერესი იყო ლვოველი დ. იზმიროვი — 357,5 კგ.

მოსკოვში, ცენტრალურ იპოდრომზე, გათამაშდა ზამთრის პრიზები ჩორთაველი გიშის ცხენებით შეჯიბრებაში. სურათზე: ზამთრის დოდის ფინიში. 1 ადგილი 1970 წელს დაბდეული ორლოვური ცხენით — პლაკატი (ჩენენსკის ცხენსაშენი) დაიკავა პირველი კატეგორიის მხედარმა ი. პოპელნუხამ (მარცხნივ). მარჯვნივ — II ადგილზე გასული პ. ანდრევი (ცხენი — კიპარისი). ვ. კვანინის ფოტო (საკლესი).

## შაგნოვი... ველოსიპედებით

ასეთი ექსპედიცია ტუნისის ჯერ ალბათ არ უნახავს. დონისძიებამი მონაწილეობდა 20 ველოსიპედისტო. მათ ჩაატარეს ურთულესი ველოტურისი და უკან მოიტოვეს პაპანაქება სიცხეში გავლილი 1800 კილომეტრი. გზა ლაშქრობის ყველა მონაწილემ მანევრ ვერ გაიარა ბოლომდე — ცსრამ სიძნელებებ ვერ გაუძლო. მარშრუტი ისე იყო შედგენილი, რომ მოგზაურები ტუნისის ძველ კულტურის ძეგლებს გასწვობდნენ. ექსპედიციის წევრებმა ეს დონისძიება ჩეხოსლოვაკიაში ველოსიპორტის დანერგვის 90 წლისთავს მიუძღვეს.

3. გასაროენი.





# „ამ მჯერა სპასკისა“

**მსოფლიო**  
**ქმ-ჩემპიონი**  
**მინილ ტალი**  
**მსოფლიო**  
**ჩემპიონის**  
**ტიტულითვის**

## ბრძოლის შესახებ:


— მაგრამ გამარჯვების გამოცნობა კი ნამდვილი პრობლემაა. თუმცა, ყველაზე მეტად ბორის სპასკისე ვამყარებ იმედს. მე მჯერა მისი.

— მსოფლიო ჩემპიონთან შესახვედრად მოჭადრაკეს უნდა ჰქონდეს გმირული ხასიათი და მტკიცე ნებისყოფა. სადღეისოდ დარჩენილი კანდიდატებიდან (სპასკი, კარპოვი, კორჩნოი, მეკინჯი, პეტროსიანი, პორტიში) ვინაა აქვს რობერტ ფიშერის დამარცხების უფრო საიმედო პერსპექტივა?

— როცა ლაპარაკია „გმირულ ხასიათზე, თვისებებზე და მტკიცე ნებისყოფაზე“, ყოველთვის სპასკი წარმომიდგება ხოლმე ფავონში. ვფიქრობ, ფიშერთან წარმატების ყველაზე მეტი შანსიც სწო-

• როდესაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდა ვაზეთ „სპორტში“, კორჩნოი—მეკინჯისა და პეტროსიან—პორტიშის მატჩები ჯერ არ იყო დამთავრებული.

**პადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარ-ფინალური მატჩების წინ**



ბ. სპასკი      მ. კორჩნოი      ტ. პეტროსიანი      ა. კარპოვი

რედ ბორისს აქვს. საამისოდ მას ცხოვრებამ საჭირო, თანაც დიდი გამოცდილება მისცა.

გულახდილად ვიტყვი: რადგან მე არა მქვს უფლება ვეთამაშო ფიშერს, მიჩვენებია ჩემპიონის ისევე სპასკი შეხედვს, სწორედ სპასკი და არა სხვა! მერწმუნეთ, მათი მეორე ბრძოლა არაფრით ემგვანება პირველს. ვასული მატჩის დროს რეკვიავიში თამაშობდა სრულიად შეცვლილი ბორისი, სამწუხაროდ, არც ფიშერი გამოიყურებოდა ჩვეულებრივად. მე მანამდე სულ სხვა ფიშერს ვიცნობდი.

მსურს აქვე აღვნიშნო, რომ მას, ვინც მსოფლიო ჩემპიონის შეხვედრებზე, აუცილებლად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა. ეს ერთი შეხედვით ქმედითუნარიანობას სრულიად მოკლებული თვისება ნებისმიერ მოჭადრაკეს გამოადგება, რადგან სხვაანაირად მეტად ძნელია ფიშერის უცნაური საქციელის ატანა და საბასუხო რეაგირება.

— როგორია მწვრთნელის გავლენა შეჯიბრების, ამ შემთხვევაში კი მატჩის მონაწილეზე?

— უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელი უნდა იყოს მოთამაშის კარგი, გულითადი მეგობარი. თუ სპორტსმენი მწვრთნელს არ ენდობა აღამიანურ ურთიერთობაშია თუნდაც უმნიშვნელო დეტალებშიც კი, მაშინ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. მწვრთნელმა უნდა შეუქმნას სპორტსმენს თამაშის განწყობილება, შთაუნიეროს მას ჯანსაღი სპორტული „მრისხანება“, ამავე დროს ზომიერი ხიდიწითაც „მოამარაგოს“. სწორედ მწვრთნელმა უნდა განაწყოს თავისი „შეგირდი“ უშუადათ თამაშისთვის, შეაიარაღოს გამარჯვების რწმენით.

მაგალითად, მე პირადად ვერ შევძლებდი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულითვის მეგრძობის სექუნდანტობას. ვაღიარებ, რომ თვითონაც ძალიან ავლედებოდი, ეს კი მწვრთნელს არ შეეფერება.

— რამდენად მართალია მტკიცება, რომ ჩემპიონის ტიტულითვის მეგრძობა პრეტენდენტს, განსაკუთრებით დღეს, უნდა გააჩნდეს არა მარტო ჰალარაის ღრმა ცოდნა, არამედ აგრეთვე დიპლომატიის გრძნობაც?

— ეს მართლაც ასეა პირადად მე, თავის დროზე, სამწუხაროდ, დიპლომატიისკენ მიდრეკილება არასოდეს გამაჩნდა. საქადრაკო დიპლომატიის შესახებ დღეს უფრო დაბეჭითებით შეიძლება ვილაპარაკოთ, უფრო სწორად, საქადრაკო დიპლომატიას დღეს მეტი ფასი დაეღო.

მაგალითად, არავინ იცის ზუსტად, მოხსურვებს თუ არა ფიშერი თამაშს. აი, სწორედ ეს ვახლავთ

ფიშერის დიპლომატიის მთავარი დამრტყმელი ძალა, რომელიც დიდ დაბრკოლებად ეღობებათ წინ მის მოწინააღმდეგეებს. როგორც ხედავთ, პრეტენდენტი უნდა იყოს არა მარტო მეგრძობი მოჭადრაკე, არამედ მოხსურებელი დიპლომატიც. ეს აუცილებელია, თუმცა პირადად მე ასეთი დიპლომატია მძავს.

ქურნალისტთა მომდევნო შეკითხვები უშუალოდ ტალის „შინაურ საქმეებს“ შეეხოს. ლენინის რადის სახონათშორისო ტურნირში თავისი წარმატებლობა ტალმა ფილოსოფიური სიმშვილით ასხნა: — დიას, გვირგვინის მოპოვების მეტად ხელსაყრელი მომენტი გავუშვი ხელიდან, მე თვითონ დიდ იმედებს ვამყარებდი საკუთარ თავზე, მაგრამ ჯანმრთელობამ მილალატა და უსიტყვოდ შევირთგადი ამ უსიამოვნო ფაქტს. ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობებით!




— ჰალარაის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები კითხულობენ: რატომ აღარ არის ტალი ისეთი, როგორც ერთ დროს იყო?

— დიპლომატიის ერთ-ერთი კანონი ამბობს, რომ ყველაფერი მომარაბაშია, ყველაფერი იცვლება. ვფიქრობ, მე იგივე დავრჩი, რაც ვიყავი, ჩემი მოწინააღმდეგეები კი შეიცვალნენ, თუ შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ გაიზარდნენ და იმაში, რომ წარმატებებს ახლა ნაკლებად ვაღწევ, მათ უფრო მიუძღვით ბრალი, ვიდრე მე.

ამის მიუხედავად, ბედს არ დავმორჩილდები, ველოდები მომენტს და მჯერა, რომ რევანსაც ვიღებ!



ცნობილ საბჭოთა დიპლომატს, 1960-61 წლებში, მსოფლიო ჩემპიონს მინილ ტალს იუგოსლავიურ ვაზეთ „სპორტის“ უორესპონდენტებმა სთხოვეს გამოეთქვა აზრი პრეტენდენტთა მატჩების მოსალოდნელ შედეგებზე.




## უხვი თებერვალი

თებერვალი მდიდარია საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებით, სათხილამურო სპორტში სანკტ-მორიცისა და ფალუნის, საციგაო სპორტში კენიჯის, საციგურაო სპორტში ინსბრუკის მსოფლიო ჩემპიონატები, პნევმატური შაშხანის სროლაში კონტინენტის პირველობა, დაბურულ დარბაზებში მძლეოსანთა ტურნირები და სხვა დონისძიებანი სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. ზოგი შეჯიბრება უკვე დამთავრდა და შედეგები განაწილდა, ფალუნის ჩემპიონატის შედეგები დღეს შეგამდებია, ზოგი ასპარეზობაც წინაა.

ეს ფოტოსურათებიც სწორედ ამ შეჯიბრებებზე მოგვითხრობს. ზედა სურათზე აღბეჭდილია ფალუნის 90-მეტრიანი ტრამპლინის ხედი. გუშინ სწორედ ამ ტრამპლინზე ჩატარდა ბოლო შეჯიბრება.

ქვედა სურათი ამას წინათ მოსკოვში, ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟში გამართულ მძლეოსანთა ღვა საკავშირო ჩემპიონატის იმ ეპიზოდს გვაცნობს, როცა 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებული თ. კაზაჩკოვა (ჩელოაბინსკი) დაწინაურდა.

გ. უნ და-სინის, ა. იაკოვლევისა და პრუხენს-ბილდ-საკდესის ფოტოები.



## რამ პრის ბროტუსკი ჰალრაკში?


შკითხველ ა. ბიბილურს (თბილისი) აინტერესებს, როგორ გამოიხატება გროტესკი საქადრაკო კომპოზიციაში.

გროტესკი ფრანგული სიტყვაა. ლიტერატურასა და ხელოვნებაში მას მეტისმეტ გაზვიადებაზე დამყარებულ მსატრულ სერის უწოდებენ. გროტესკულ ნაწარმოებს მკვეთრი კონტრასტები ახასიათებს.

გროტესკს ხშირად საქადრაკო კომპოზიტორებიც მიმართავენ. მტიუდისტი ყოველთვის ვერ ასერხებს წმინდა საეტიულო იდეის ბუნებრივ ხორცშესხმას (ეს ზოგჯერ შეუძლებელიც კია) და ამიტომ გროტესკულ ფორმას მიმართავენ.

გროტესკულ ეტაუდში თითქმის დაუკრებელი, ფანტასტიკური პოზიცია იქნება. პრაქტიკოსი მოჭადრაკეების თვალსაზრისით, ასეთი ნაწარმოები უცნაური ჩანს.

სსრ კავშირში გროტესკ-ეტაუდებს თავისი მიმდევრები ჰყავს. ერთ-ერთი პირველთაგანია ცნობილი საერთაშორისო ოსტატი ტ. გორგივი (დნეპრო-პეტროვსკი), რომლის ნაშუაფრები დიდი მოწონებით სარგებლობს. გთავაზობთ ტ. გორგივის ეტაუდს, რომელიც ინგლისის სპეციალურ საკომპოზიციო ჟურნალში დაიბეჭდა.



თეთრები იგებენ  
 ამოსხნა: 1. Bd4 Ma1 2. Bb5+  
 მფხ2 3. Bd6 ეd1 4. Bc4+ მფc1  
 5. eBd1 d5 6. \*მედ6 dc 7. B:c4  
 ეა3 8. მე5 და 9. მd3 X.

3. პალანდაძე, საქადრაკო კომპოზიტორი.

**საქრებულო**  
**საქრებულო**  
 — თიანეთი

ჩატარდა მოსწავლეთა შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში რეაწლიანი და საშუალო სკოლების 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. 5 კილომეტრზე რბოლაში გამარჯვება ლელელების საშუალო სკოლის ნაკრებმა. 3 კილომეტრზე რბოლა მოიგო ზარიძეების რეაწლიანი სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.

გ. ლოგაშვილი, თიანეთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი.

